

572
1977

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՇՈՒՆՈՒՄՆԵՐ



1977 ԵՄՉԵՅՈՐՈՆ N 11

ԿՈՄՄՈՆԻՍՏ

სოციალიზმი

კ. გოგიაშვილი

მოვიფიქროთ, მოგვუჩვენოს ხალხის
დროშები ნორჩი ხელებით,
ზატარა ოქტომბრელები,
ზატარა ლენინელები.

ვართ და ვიქნებით მანადევს
ჩვენი სამშობლოს მცველები,
ზატარა ოქტომბრელები,
ზატარა ლენინელები.

არ დავივიწყებთ არანდროს
წინაპრებს—დროთა სროლაში,
ვინც მტერს ებრძოდა გმირულად,
დაეცა მტერთან ბრძოლაში.

ხალხი ერთ მუშტად შეკუმშა
სიტყვამ ნათელმა, მართალმა,
იგი ლენინმა დარაჯა—
პარტიის მთავარსარდალმა.

ოქტომბრელები მოვიფიქროთ,
დიდი ოქტომბრის შვილები,
მამა-პაპათგან ნაწრთობი,
სამშობლოს გაპოზრდილები.


მოვიფიქროთ, მოგვუჩვენოს ხალხის
დროშები ნორჩი ხელებით,
ზატარა ოქტომბრელები,
ზატარა ლენინელები.



73421



ქ. შარტავის ქ. 101
საბავშვო მუზეუმი
ბიზლით



ბავშვებო, თქვენ ძალიან გახარებთ 7 ნოემბრის
დღესასწაული: პარადი, ფერად-ფერადი ბუშტები, ცა-
ში ვარსკვლავებივით გაბნეული მუშხუნები, ზეიმი
ქუჩებში, მოედნებზე, ბალებში, ეზოებში.

და, იცით, რატომ ვზეიმობთ ამ დღეს?

დღეს დღეს, სამოცი წლის წინ, თქვენმა წინაპ-
რებმა ძველი წესწყობილება დაამხეს და ახალი ცხოვ-
რება შექმნეს.

თქვენ ამ ახალ, თავისუფალ ქვეყანაში დაიბადეთ
და ბედნიერი ბავშვობა გაქვთ





ვლადიმერ ილიას ძე ლენინი

ნაღვქდა კრუსკაია

ნახატი რევაზ სუჰმირიძისა

— მამა, — უთხრა ვასიამ მამას, — მიაშვებ რა-
მე იმ ძიაზე, — და კედელზე ჩამოკიდებულ
სურათზე მიუთითა.

— იცი, ვინ არის იგი?

— როგორ არ ვიცი, ლენინია.

— ჰო, ვლადიმერ ილიას ძე ლენინია, ჩვე-
ნი საყვარელი ბელადი.

აბა, მისმინე: მაშინ ახალგაზრდა ვიყა-
ვი. მუშები ცუდად ვცხოვრობდით. მიძიმე სა-
მუშაო გეჭონდა. დიდიდან საღამომდე ოფის
ვღვრიდით და მაინც ვშიშვლობდით. ქარ-
ხანაში ბევრნი ვმუშაობდით. ქარხნის მეპატ-
რონე დანილოვი იყო. თვითონ თითსაც არ
ანძრევდა და განცხრომით კი ცხოვრობდა.

საიდან ჰქონდა ამდენი ქონება? ჩვენ გვა-

მუშავებდა და გროშებს გვიხდიდა. ერთი
სიტყვით — გმარცვავდა, ჩვენი ოფლით ცხოვ-
რობდა. მას ქარხანაც ჰქონდა, ფულიც, მან-
ქანებიც. ჩვენ კი საკუთარი ხელების გარდა
არაფერი გაგვანდა.

ჰოდა, იძულებული ვიყავით, მასთან გვე-
მუშაევა. ვანა მარტო დანილოვის ქარხანაში
იყო ასე! ყველა ფაბრიკა-ქარხანაში ასეთი
ამბავი ხდებოდა.

ვლენებსაც ძალიან უჭირდათ. მათ ცოტა
მიწა ჰქონდათ, მემამულეებს კი — ბევრი. ვლენ-
ები მემამულეებს ემსახურებოდნენ და ძა-
ლიან ღარიბად ცხოვრობდნენ; მემამულეები
კი ფუფუნებაში იყვნენ.

მემამულეებს და კაპიტალისტებს მხარში

ედგათ მეფე—ყველაზე მთავარი და ყველაზე მდიდარი მემამულე. იგი ყველას ბატონი გახლდათ. ისეთი წესრიგი შემოიღო, მართო მემამულეებსა და კაპიტალისტებს რომ აძლევდა ხელს, მუშებსა და გლეხებს კი სულს ხდიდა.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მუშების მებრძოარი და ამხანაგი იყო. ლენინს სურდა, ყველა მშრომელს კარგად ეცხოვრა. იგი მუშათა საქმისათვის იბრძოდა.

ლენინი აგროვებდა იმ ხალხს, ვინც მუშების მხარეზე იყო. ამით მუშათა პარტია—კომუნისტების პარტია თანდათან იზრდებოდა და მტკიცდებოდა.

პარტია ხედავდა, რომ უბრძოლველად ვე-

რაფერს მიაღწევდა. ყველა ქვეყნის მშენებელი ამ აზრს იზიარებდნენ.

მუშებს უყვარდათ ლენინი, მემამულეებსა და კაპიტალისტებს კი სძულდათ. მეფის პოლიცია აპატიმრებდა ლენინს, შორეულ ციმბირში ასახლებდა. უნდოდათ, სამუდამო კატორღაში ჰყოლოდათ.

ლენინი საზღვარგარეთ გაემგზავრა და იქიდან აძლევდა მუშებს რჩევა-დარიგებას. მერე კი ისევ დაბრუნდა და მთელ ბრძოლებს ხელმძღვანელობდა.

1917 წლის თებერვალში მუშებმა და ჯარისკაცებმა განდევნეს მეფე, 1917 წლის 7 ნოემბერს მემამულეები და კაპიტალისტებიც



მოიშორეს, ჩამოართვეს მიწები, ქარხნები, ფაბრიკები და ხელში აიღეს ძალაუფლება.

ახლა უკვე მუშები და გლეხები თავიანთ საქმეებს თვითონ განაგებენ.

ლენინი და მისი პარტია მშრომელებს ახალი ცხოვრების მოწყობაში ეხმარებოდნენ.

ბევრი სამუშაო და საზრუნავი ჰქონდა ლენინს, ელადიმერ ილიას ძეს ჯანმრთე-

ლობამ უმტყუნა და 1924 წელს გარდაიცვალა.

ძალიან დაგვაშწუხრა ლენინის სიკვდილმა, მაგრამ მის ნათქვამს არასოდეს დავივიწყებთ. ვცდილობთ, ყველაფერი ისე გავაკეთოთ, როგორც ლენინი გვიჩვენებდა.

თარგმანი **ლევინა პრაქმა**

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



60 თავისთვის გულს აწვდიან გულს

ჩვენი ჟურნალის ამ საიუბილეო მეფურთმეტე ნომერში სტუმრად არიან და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს გვილოცავენ მოძმე რესპუბლიკების: რსფსრ-ს, უკრაინის, ბელარუსიის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ლიტვისა, ლატვიისა და ესტონეთის საბავშვო ჟურნალების მეფურთმეტე საიუბილეო ნომრები.

ВЕСЁЛЫЕ 11 КАРТИНКИ

1977

ნახატი თენგიზ ქართველიშვილისა

რსფსრ

ეპიგონი ზარაცკი

დადგა მესამოცე გმირული წელი,
ბრძლევალებს ალისფრად ქვეყანა ვრცელი;
გიზგიზებს წითელი დროშების ტყე.
მღერის და გუგუნებს ოქტომბრის დღე.

შენი ღმესასწაული

ახვია გარბო

ოქტომბრის დიად ღმესასწაულზე—
გესმით? მოსკოვი ქღერის;
ეს სწიმღერბა გამარჯვებისა—
მთელი სბჭოთა ჟრის.

გრგვინავს სწალუტი და ივი შორით
იგუტელ ბიჭს გბმის,
ის სწალუტის ბბთქს შუერთობიბ
ზწწიბ გულის ფესვით.

და ოქტომბერბ ეოფელი ბბბვი
შეჭბრბ თბვის მხოური მბრბით.

მერე ბრტეკიცი;—ბქ, ბმ კოცონთბს,
მბნ მოუბრბ თბვი ზბტბრბბს.
წელი წელს მისღვს,
მბგრბმ ბმ კოცონს,
მის ბრბიბლბ შუქს გულებით ბტბრბბთ.

ჩგენი ბბბშეგბი მბბში და ბბრში
მოიმღერბბნ ოქტომბრის მბრბით.

თბრკმბბ კობბ ავბლიშვილბბ



გუბის ბინაღაი

იური სავინი

ლოკოკინა იულკამ, ფეიქარმა ობობამ, მომღერალმა გომებეშომ და კოლო-მუსიკოსმა გემი გააკეთეს. მდინარეზე წასვლა დაეზარათ. გადაწყვიტეს, იქვე უზარმაზარ გუბეში გამოეცადათ ხომალი. ქარმა აფრები დაბერა, ათასფერი ალმები აფრიალდნენ. გემი გაკურდა.

უეცრად წყლიდან რალაკამ თავი ამოპყო და, ფუ! გემს მიაფურთხა. მაშინვე თეთრი იალქანი ჭუჭყიან ჩერად იქცა. ბახ!—ისევ მოესმათ მეგობრებს და მათი ნახელაუი ხომალი გვერდზე გადაიხარა, გადაბრუნდა.

წყლიდან ჭუჭყიანი, ტურტლიანი რალაკ ამოძვრა.

— მე ამ გუბის ბატონ-პატრონი ვარ! ვინ მოაკლათ უფლება ჩემს საბრძანებელში გემებზე დასაყრდენად დამაცადეთ ერთი! ფუ!.. ფუ!—და, ოთხივენი თავით-ფეხბამდე გუბის აშშორებული წყლით გაწურა.

გუნება წაუხდათ გემთშენებლებს, გაბრაზდნენ. გაწურვა ასე არ უნდაო და, იმდღესვე კარგი მზგარი ბაღე მოჰსოვეს. მოჰსოვეს და, იმ ტურტლიანის დასაქერად მაშინვე გუბეს მიადგნენ. ის კი—ჭუჭყიანი და ტალახით მოთხუანული—მზეზე ნებერობდა და თან მღეროდა.

უეცრად გუბის პირს ბაღემომარჯვებული ხომალდმშენებლები დაინახა; აწრიალდა, შუშინდა ხან—აქეთ ეცა, ხან—იქით, საღ დაიმიღებოდა, ისეე გუბის ფსკერს გაეკრა და გაინახა.

— ამოღი ზევი!—უბრძანეს შურისმაძიებლებმა. — არ ამოვალ!—შეშით ამოიბუყბუყა გუბის ბინაღარმა,—მცემთ.

— არ გცემთ.

— მაინც არ ამოვალ.

— თუ ასეა, შენს თავს დააბრალო!

მეგობრებმა ბაღე გუბის ფსკერზე ჩაუშვეს და ის



ტურტლიანი წაშლი დაიჭირეს. გაკოკილი ამოათრიეს ზეით.

— გემი რატომ გადაგვიბრუნე? ტალახს რატომ ესვრი ყველას?

— თქვენც რომ ამ გუბეში ჩავსევან, ჩემზე უარესად გაბოროტდებოდით.

— აბა, შეხედე, რა ჰქენი, ირგვლივ ყველა ყვავილი ტალახით მოსვარე.

— ყვავილი რა არის?— გულუბრყვილოთ იკითხა გუბის ბინადარმა.

— როგორ, ყვავილი არ იცი?

გაიყვანეს მდელიოზე.

— უჰ, — აღფრთოვანდა გუბის მბრძანებელი, — რა ლამაზი ყვავილია!

— ეს ყვავილი კი არა, პეპელაა!

— რაც გინდა, ის დაარქვით, ლამაზი კია და!

იმ ტურტლიანმა იმდენი ირბინა ნამიან ბალახში, მთლად გასუფთავდა, გალამაზდა. თურმე რა ყურბანტურა, რა თვალმბრიალა და ლუნლუნო ყოფილა!

— რა კარგია, ჩემს გუბებს კი არ ჰგვანებია!

— მერე, იქ რა გაჩერებს?

— აბა, რა ვქნა.

— გუბე რომ დაშრეს?

— მეორეს მოვეძებნი, მესამეს, მეოთხეს, ქვეყანაზე გუბებს რა გამოლოცეს.

— გინდა, ჩვენთან დარჩი, — შესთავაზეს მეგობრებმა.

— დიდი სიამოვნებით დაერჩებოდი, მაგრამ მე ხომ გუბის ბინადარი ვარ.

— მერე რა მოხდა, შენც მდელიოზე იცხოვერე და მდელიოს ბინადარი იქნები.

— ეგ კარგი მითხარით! — გაუხარდა გუბის ბინადარს და იმ დღიდან, მართლაც, მდელიოს ბინადრად იქცა.

ამ ცოტახნის წინ მეგობრებმა ახალი ხომალდი ააგეს. ის გემი ნაკადულში გაუშვეს და კაპიტნად სულაც მდელიოს ბინადარი დანიშნეს.

არ ვიცი, დაიჯერებთ თუ არა, მაგრამ ნამდვილად კარგი კაპიტანი დადაგა.

თორმემა გზია გელაშვილმა



ნახატი სოფიო კინწურაშვილისა

საქართველოს საბავშვო ლიტერატურის ცენტრი

11 · 1977

МАЛЯТКО

უკრაინის სსრ



მხიარული მგზავრების სიმღერა

გაღინა ალაქსევეა

ნახატები სოფიო კინწურაშვილისა

მშობელია, დეიდა,
თუ ბიძა ჩვენი—
უთენია წამომდგარა,
გაკრთომია ძილი,
ზოგს—ტრამევი, ზოგს კი—მეტრო,
ზოგსაც ტაქსი შევლის;—
სამსახურში იჩქარაინ
ყოველ სისხამ დილით.

შენ კი, მგეობარო, ჩვენთან დაჯექ მალე,
უნდა მოვიაროთ მშობლიური მხარე.

ჩუქუ-ჩუქუ, დაგა-დაგა!
ჩუქუ-ჩუქუ, დაგა-დაგა!


გამორბიან და ხელს ვუწვდით
ქალაქებს და სოფლებს;
ჩვენი დედა—ჩვენი მიწა
რა ხანია გველის,
რომ იცოდეთ, რა კარგია
მის კალთაში ყოფნა!—
ლამაზია, აღსავსეა
სიკეთით და ღხენით.

სხივჩახჩახა მზეს რომ გვადვრის,
მშობლიური ცაა,
გვეფერება ცეცქი სიო,
მთვრალი ჩვენი ნახვით,
მიეკრით, ბორბლებს ლიანდაგზე
დაგა-ლუგი გააქვს,
მემანქანე აგუგუნებს
ელმავალის საყვირს.

ჩუქუ-ჩუქუ, დაგა-დაგა!
ჩუქუ-ჩუქუ, დაგა-დაგა!

გამორბიან და ხელს ვუწვდით
ქალაქებს და სოფლებს,
ჩვენი დედა—ჩვენი მიწა
რა ხანია გველის,
რომ იცოდეთ, რა ტკბილია.
მის კალთაში ყოფნა!—
ლამაზია, აღსავსეა
სიკეთით და ღხენით.

უკრაინულიდან თარგმნა
აშირან ასანიძემ



11 1977

ლიტვის სსრ

ჰაიიოტო

მარტინას ვაინილაიტისი

ფაშფარების ექოთი
ცაც ირწევა, ქანაობს,
ფრიალებენ ალმები —
ცსრათულაშინთანათ.
ჩვენც უსვიმოტო თქტომბერს —
ბედნიერი ნორსები,
მოვიძღვრით, მოკვივართ
აღისფერი დროშებით.
ევაილები — ზატარებს
თავსე ვადაგუვარეს,
უფროსებმა — სიცოცხლის
სუვდავება კვანარეს.
აი, დიდი ლენინი,
ქარიშხალთა მშობელი,
ვინც დაანთო თქტომბრის
ცეცხლი ჩაუქრობელი.
მან გვიჩვენა მომავლის
სწორი გზა და სიძარტლე
და თქტომბრის დღეები
მსიფურად წამოიძარტნენ.

თარგმანი ანტონ აბულაშვილისა



ბადურჯანი 11

1977

საქართველოს
საბავშვო
საზოგადოებრივი
სამსახური

ყაზბეგის სსრ

ქოხი და ქაგუქი

ყურმანბაი ტოლივაძე

— ნახე, თუ არ წაგაქციო!—დაიგრგვინვა საი-
დანაც ღმუილით მოვარდნილმა ქარბუქმა,—წა-
გაქციე: პირქვე დაგაქციე!

— ისეთი საძირკველი მაქვს, ადგილიდანაც
ვერ დამძრავ!—უპასუხა ქოხმა.

ქარბუქი ციბრუტივით დატრიალდა და ქოხს
გამეტებით დაეძგერა, მავრამ უძლური კენება
აღმოხდა მხოლოდ. ქოხი უძრავად იდგა.

ქარბუქი უფრო მეტის გააფთრებით დატრიალ-
და, დაბზრილდა ქოხის ირგვლივ, მერე ერთბა-
შად ღრიალით ეცა კარს:

— ცეცხლი მინთია, შე გადაღრძეხებულს ბე-
ბერო,—დაცინვით უთხრა ქოხმა. — ფრთხილად
იყავ, არ დაგწვას.

— მაგ ცეცხლს ჩაგიქრობ!—მუქარით დაიღ-
მუვლა ქარბუქმა.

— გაბრაზდი, გაბრაზდი, ბოროტო ქარბუქო!..
შაპა!..

დიდხანს იცინა ქოხმა. საკვამურიდან სქელი
კვამლი ამოაფრქვეია.

მთლად გადაიჩია ქარბუქი.
მთელი ძალით მიეხეთქა ქოხის კარს, დაასკდა
მიწას: ერთი ამოსუნთქვით სტუმის გორახი ქვი-
შად აქცია, თივის ზვინები ცაში აიტაცა და სად-
ღაც მიმოფანტა.


მთელ ღამეს იღმუვლა და იგუგუნა ქარბუქმა.
იქროლა და იბობოქრა. — ალალა, ქანცი გაეცა-
ლა, ბოლოს—ერთხელ კიდევ გადაუარა მთა-
ბარს და ქვეყნას თეთრი, ფუმფულა თოვლი
გადააფრქვია.

გვიღვიძა ქოხმა, საკვამურიდან ღრუბელივით
ბოლქვ-ბოლქვად ამოიკალანა თეთრი ბოლი,
ირგვლივ სასიამოვნო სიჩუმე დასადგურებელი-
ყო. მზეც ნელ-ნელა ამოიწვერა.

ტრამალზე წარბშეუხრელად იდგა ამაყი და
ქედმოუდრეკი ქოხი. იგი ხომ უხსოვარი დროი-
დან ებრძვის ქარბუქს და ყოველთვის, ყოველ-
თვის იმარჯუებს.

თარგმანი მზია გელაშვილისა

ნახატი ჯაშრ დვისაძისა





№ 11 · 1977

აზერბაიჯანის სსრ

ოქტომბერი

პირვეთ ზია

თხუთმეტი შვილი გაგვზარდე;
ძმები ვართ, ძმები ნამდვილი.
ყველას სხვადასხვა ენა გვაქვს,
მაგრამ ერთი გვაქვს წადილი.
გვაქვს ერთი გზა და მიზანი
და მისთვის დავიხარჯებით,
უღაბნო ბაღად ვაქციეთ
ჩვენი ყოვლისმძლე მარჯვენით.
დიად კომუნიზმს ვაშენებთ,
სართულებს მისდევს სართული,
ჩვენს ზემოთ ცაა კაშკაშა,
ძირს—მიწა მიმოქარგული.

თარგმნა ანჟორ აბულაფვილა



ნახატი მანანა მორჩილაძის



ტაჰეკე ¹¹ 1977

ესტონეთის სსრ

შანქაბი ჰენლა სიელსაუი

თარგმნა **კ. გოგიაშვილმა**

ნახატი **მანანა მორჩილაძისა**

წითელი და ყვითელი,
ყავისფერი, ღურჯი—
აი, ჩემი ფანქრები,
ალარ მინდა ფუნჯი.

ღურჯი ფანქრით ზღვას ვხატავ
და ცას, ზღვას რომ დამზერს...
ზღვა სავსეა გემებით,
ცა—ჩიტებით სავსე.

ყვითლით ვხატავ მზეს—
თავის სხივებიანა;

წითლით? წითლით—ღრწმას!—
აღისფერს და ბრიადას.

მწვანით—მწვანე ვზოვებს,
ბაღახსა და სამყურას...
ყავისფერით?
ყავისფერით
ვაფერადებ სახურავს.

შავი ფანქრით კვამლს ვხატავ—
ბოღქვა-ბოღქვად გაშლილს;
იწვის უშუა ლუმელში,
მიდის კვამლი ცაში.



შორეული მეგობრები

ზიგმუნდ სკაინიში

პაპა სამუშაოდან რომ დაბრუნდა, სახლის წინ სკამზე ჩამოჯდა, უღისი მოიხიშო, მუხლზე შეისვა და უთხრა:

— დღეს გაცხარებული მუშაობა გვქონდა, მეგობარ კუბელებს ფანერები გავუგზავნეთ კუბაში.

— სად არის კუბა?
— ცხრა მთას იქით.
— მერე და, ასე შორს გყავს მეგობრები?
— მარტო მე კი არა, შენცა გყავს. სი-
შორე მეგობრობას ხელს არ უშლის.—თქვა
პაპამ.

მოხუცი ბევრ რამეზე ელიაპარაკებოდა უღისს, ის კი შორეულ მეგობრებზე ფიქრობდა.

— მითხარი, პაპა, ისეთი ქვეყანა, კუბაზე შორს რომ იყოს.

— ჩილე.

— იქაც გყავს მეგობრები?

— რა თქმა უნდა, იქცა გყავს.

— კიდევ რომელი ქვეყანა უფრო შორს?
— აესტრალია.

— იქაც არიან ჩენი მეგობრები?

— აი, შვილო, ეს უნდა იცოდეს: სადაც მშრომელი ხალხი ცხოვრობს, ყველა ჩენი მეგობარია. კუბა მშრომელთა სახელმწიფოა!

უღისი პაპის მუხლებიდან ჩამოხტა და სადღაც გაიქცა. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა და ფიჭვის ქერქისაგან გაკეთებული ნაღვი მოარბენინა:

— მეც გაცხარებული მუშაობა მქონდა, მთელი დღე ამ ნავს ვაკეთებდი. ადრე რომ მცოდნოდა, უსათუოდ გავუგზავნიდი კუბელ მეგობრებს.

თარგმნა ლამარა ჩიჰაპაძემ

ნახატი ზაურ დვისაძისა





მოვობაჲს ჰუმეღჲით

ტარიელ ხავთასი

წინდები
გაღონ კიძიკაშვილი
 უჰ, რა კობტად მოგერგო
 ჩემო მურა წინდები;
 ახლა ბეგრიც ირბინო,
 აღარ გამიციფლები.


მწუბობი ნაბიჯით მოვდივართ
 ერთად — რუსი თუ ქართველი.
 ნოემბრის დილა ჩანსაჩუბს, —
 ადგას ოქტომბრის ნათელი.
 დგას ვეპვილები სურნელი,
 სივრცე ღიმილით ივსება,
 წინ აღისფერი დროშების
 მიგვიძღვის აგიზგიზება.
 მოგვაქვს ლენინის სურათი
 ძაღლა აწვდილი ხელებით
 და დიდ ოქტომბერს ვუძღვრით —
 პატარა ოქტომბრელები.

ზამთრის პოლონები

თინათინ კვირიკაძე

შემოდგომა მიიწურა,
 უსწვი, ქარვის სადარი.
 თბილი ქუდი, ხალტო, ციგა,
 ვუკლანფერი მზად არი.
 აბა, მეტი სსვა რა გვინდა? —
 რა გვინდა და, ზამთარი,
 სვაზრეული,
 სვაზრეული,
 სვაზრეული ზამთარი...

თ ა ვ ს კ ც ბ ე ბ ი



შეავსეთ ცარიელი უჯრედები ცხოველთა
 სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიი-
 ლით საქართველოს პირველი პილარი ელექ-
 ტროსადგურის სახელწოდება.

კავკარა გვენებელი

ავთანდილ ყურაშვილი

მშენებელი გავხდები,
აგურს აგურს დავადებ,
ავაშენებ სასახლეს
ლურჯი ზეცის თალამდე.

ვარსკვლავებზე გავკიმავე,
ხილებს, გზებს და გამზირებს.
ბებო, რა გელიძება,
ბაბუ, შენ რა გაცინებს?!

ეკას სიშლია

აბა დელი,
დელი, დელა.
აბა დელი, დელი.
როცა ბებო ზოაპარს ჰყვება,
მაშინ მოდის მგელი.

კავა და ქაღ

ტარიელ ხავთასი

ცუგავ უთხრა კატასო:
შუქცევი ქაღასო,
ცოტა მაინც მიწილადე,
რომ მიღვიძებ მადასო.



მოგვარი რედაქტორი მუსარან მახმადიანი

წარმომადგენელი კოლეგია: ბნურ ბაგვაშვილი, ელზარ ბაგვაშვილი, აკაკი გომიგვილი, ლილა პრპე, მათეა მარგალიტი, ჯიშუა მუხიანი, გიორგი როინიშვილი (სამხ. რედაქტორი), იოსებ მშვიტაძე (პ/მე, მღვანე) არხარ ლარიანი, გივი ქნელიანი

საქ. კავკარა და გ. დელის სახელობის ბავშვთა ორგანიზაციის რეპუბლიკური საბავშვო ჟურნალი. ელზარ ხავთა ელზარ ბაგვაშვილი. ტარედიქტორი ბნურ მუხიანი. 50-ე წელი.

ტარედიქტორი ბნურ მუხიანი

მისამართი: რედაქციის გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მო. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; კ/მე მუხიანის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. — 93-98-19; საბავშვოს — 93-98-16.

გვადევა ასაწყობად 17/VIII-77 წ., ხელმოწერილია დასაბუთად 12/IX-77 წ., კვალდის ზომა 80X100 მმ, ფა. ნაბ. ფურც. კმ, ტირაჟი 187.000. ზე.ც. № 2594. „დიარ“ № 11. რუსულ ენაზე. ფასი 20 კაბ.

საქ. კავკარა
გამომცემლობა
Издательство
ЛКР КВ Грузии

ბ 76/235

საზჭოთა კავშირის კიშნი

(ტექსტი ს. შიხალკოვის დო ელ-რეჟისტანისა,
ტექსტის აბალი რედაქცია ს. შიხალკოვისა).

თავისუფალ ერთხ მძლე კავშირი მშური
შეუკრანეს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს.
გაუმარჯოს ხალხთა ნებისყოფით შექმნილს
დიდ საჭოთა კავშირს, ერთიანს დო მძლეურს!

დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფლო,
ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ მენ!
ლენინის ჰარტია — ხალხის ძლიერება
წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ!

მუქს გრივალში გეჟინდა მზე თავისუფლების
და ლენინი დიდი გვინათებდა გზას,
მან დარაზმა ხალხი მართალ საქმისათვის,
გპირობა დო შრომა შთაგონა ხალხს.

დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფლო,
ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ მენ!
ლენინის ჰარტია — ხალხის ძლიერება
წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ!

კომუნიზმის საქმის სეიში ჩვენ ვსკდავთ
ქვეყნის მომავალს დო მას ვუსწორებთ თვალს,
და სამშობლოს წმინდა, აღისფერი დროშის
უსწდგროდ დო მარად ჩვენ ერთგულნი ვართ!

დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფლო,
ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ მენ!
ლენინის ჰარტია — ხალხის ძლიერება
წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ!

ქართული თარგმანის ტექსტის აბალი რედაქცია
ერაკლი აბაშიძისა